პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 245 (6054)

1977 წ. 15 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 დეკემბერს
მოსკოვში,
კრემლის
დიდ სასახლეში
მუშაობა დაიწყო
სსრ კავშირის
მეცხრე მოწვევის
უმაღლესი საბჭოს
მერვე სესიამ

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1977 წლის 13 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

ამ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ა. პ. ლიაშკო — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მ. ა. პონომარიოვი — სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ.-ს. ი. უმახანოვი — სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. თ. ბრატჩენკო — სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი, ბ. ნ. ელცინი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. პ. ტრუნოვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. გ. კებინი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ქვეყნდება პრესაში.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1977 წლის 13 დეკემბერს

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

მოწონებულ იქნეს ძირითადად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეტანილ იქნეს ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყონ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს 1978 წლისათვის დაწესებული დავალებანი, რაც ახალ დიდ წვლილს შემატებს ეკონომიკის განვითარებას და დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი მეათე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა იხელმძღვანელონ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ამ პლენუმზე და მთავარი ყურადღება დაუთმონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტას, შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე კაპიტალური დაბანდების კონცენტრაციასა და ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივ დაჩქარებასა და წარმოების ინტენსიფიკაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამ მიზნით საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ შიდასამეურნეო რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, წარმოების ნოვატორთა ინიციატივის გავრცელებას. დღენიადაგ ვიზრუნოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ვიღვწოდეთ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, კონტროლის გაძლიერებას საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, საწარმოო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები 1978 წელს აქცევენ დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ იმ ისტორიული ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა.

თოვლიან ბილიკებზე

იჟევსკის მიდამოებში დამთავრდა ბიატლონისტთა ტრადიციული „იჟევსკის შაშხანის“ პრიზის გათამაშება, რომელშიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ფაქტიურად ეს შეჯიბრება იყო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის წინა პირველი დიდი ტურნირი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მთავარი ჯილდო მეხუთედ მოიპოვეს დინამოელებმა, რომელთაც სათავეში ედგა ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტიხონოვი. ბოლო დღეს მათ 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს — მ. ლობანოვმა, ტ. ჰასანოვმა, ვ. ოჩნევმა და ა. ტიხონოვმა მთელი ტრასა 1:47.07-ში გაიარეს და 14 წამით ჩამოიტოვეს შეიარაღებულ ძალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში ოლიმპიელებთან ნ. კრუგლოვთან და ა. უშაკოვთან ერთად გამოდიოდნენ ა. ნიკიფოროვი და გ. ტოკარევი.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილენი მცირეკალიბრიან შაშხანას ისროდნენ. საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილების შესაბამისად ამიერიდან ბიატლონისტები მუდამ ამ იარაღით იასპარეზებენ.

ტერსკოლში გრძელდება საბჭოთა კავშირის უძლიერეს სლალომისტთა შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში გამოდის საქართველოს ნაკრებიც, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადისთვის ემზადება.

პირველ სტარტებზე უკვე ვიტყობინებოდით. გაიმართა ქალთა კიდევ ერთი ასპარეზობა სლალომში, რომლის სიგრძე ამჯერად 490 და 495 მეტრი იყო, კართა რაოდენობა — 47 და 49. ამჯერად ყველას აჯობა მინსკელმა ნ. ზელოვამ — 1.21,75. მას 1,15 წამით ჩამორჩა ლვოველი ნ. პერჩატკინა. სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, კემეროვოელი ა. კულიკოვა-ასკაროვა მესამე ადგილზე გავიდა — 1.24,64.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტიდან გვაცნობეს, ბაკურიანელმა მ. კოზანაშვილმა მე-13 შედეგი აჩვენა. უძლიერესთა სტარტში ამ გოგონასთვის ეს ცუდი მაჩვენებელი როდია.

შოთა მორჩილაძე — ნოემბრის საუკეთესო სპორტსმენი

ასე გადაწყვიტეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველებმა — ტრადიციული კონკურსის „თვის ჩემპიონის" მონაწილეებმა

კონკურსზე „თვის ჩემპიონი" გამოგზავნილ ღია ბარათებს შორის ვნახეთ ლენინგრადელი ალექსანდრე გორნაკოვის არცთუ ჩვეულებრივი წერილი. წერილი ეხება კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს შოთა მორჩილაძეს.

ასე რომ, პირველად „თვის ჩემპიონს" ასახელებს არა ჟურნალისტი, არამედ მისი ძველი თანაგუნდელი, მეგობარი.

შოთა მორჩილაძე... მე იგი 7 წლის წინათ კოლომნაში (მოსკოვის გარეუბანი) ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო შეკრებაზე გავიცანი. შემდეგ ჩვენ ერთად გავემგზავრეთ შვეციაში, ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ. ხშირად ვხვდებოდით შეკრებებსა და შეჯიბრებებში. დავმეგობრდით. შოთა მძიმე წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მე კი — 48 კგ-მდე. ასე ხშირად ხდება ცხოვრებაში — ძლიერი სუსტს მეურვეობს. ყველა შეკრებაზე ჩვენ ერთად ვშრომობდით, შუაზე ვიყოფდით გამარჯვებებსაც და წარუმატებლობასაც.

ჭიდაობა სპორტის ინდივიდუალურ სახეობად ითვლება. ხალიჩაზე ჩვენ ცალ-ცალკე გამოვდივართ, მაგრამ საერთოდ სპორტს არ უყვარს მარტოობა. იგებს შეხვედრას შოთა — ე. ი. იმარჯვებს ყველა, ვინც დაეხმარა მას წარმატების მიღწევაში, მათ შორის თანაგუნდელებიც. სპორტსმენს მუდამ უნდა ახსოვდეს ეს, ყოველთვის მზად უნდა იყოს მეგობრის დასახმარებლად. შოთას შეუძლია საათობით დაჰყოს ახალგაზრდა მოჭიდავესთან, დაუხვეწოს მას რთული ილეთები, გაუზიაროს სატურნირო გამოცდილება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თავად ძალიან დაღლილია.

მისი სტილია ღია რაინდული ბრძოლა. არ მახსოვს შოთას არც ერთი შეხვედრა, სპორტულ საზღვრებს გაცილებული ხერხით რომ მოეგოს. ჩემთვის შოთა სპორტული მამაცობის ნიმუშია. რთულ სიტუაციებში იგი ყოველთვის პოულობს გამარჯვებისკენ მიმავალ ყველაზე სწორ გზას. იგი ისეთი სპორტსმენია, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა გუნდისთვის კრიტიკულ მომენტში.

მახსენდება 1971 წლის უძნელესი საერთაშორისო ტურნირი პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში — ცნობილი ათლეტის, პავლე იაშინსკის მემორიალი. ფინალი — ძალის, ოსტატობის, თავდაჯერის გადამწყვეტი შემოწმება. ტრიბუნების ხმაური, თანაგუნდელების მღელვარება, მწვრთნელთა დაძაბული სახეები.

ერთ-ერთ შეხვედრაში დავმავდი. გავნერვიულდი, დავიბენი... და ამ მძიმე წუთებში ძალიან დამეხმარა შოთა. გამიკეთა მასაჟი, დამიზილა კუნთები, დამამშვიდა, განმაწყო საბრძოლველად. შორიდან ეს ალბათ ძალიან გულისამაჩუყებლად გამოიყურებოდა. გვერდით ძლევამოსილი მძიმეწონოსანი და პატარა „კოდო". რამდენი სითბო იგრძნობოდა შოთას სიტყვებში.

მაშინ შოთა მორჩილაძე პირველ ნაბიჯებს დგამდა საერთაშორისო სარბიელზე. გამარჯვებები იოლად არ მოდიოდა. ამისთვის დიდი ხნის ქანცგამწყვეტი ვარჯიში იყო საჭირო, მაგრამ შოთა სპორტულ სიმაღლეებისკენ თავაწეული მიიწევდა. შემდეგ მიიღო გამოცდილება, დაიხვეწა ოსტატობა და ამასთან ერთად მაღალი ტიტულებიც მოვიდა. ამჟამად შოთა მორჩილაძე საჭიდაო ხალიჩის „ვარსკვლავია", მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი „კლასიკოსი". ჩემის აზრით, შოთა „თვის ჩემპიონის" წოდების ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული პრეტენდენტია. და სიხარულით ვაძლევ მას ხმას.

მე ვამაყობ შენით, შოთა!.

ირჩევდნენ რა ნოემბრის ჩემპიონს, „კომსომოლსკაია პრავდის" ათასამდე მკითხველმა ათზე მეტი სპორტსმენი დაასახელა. ხმების უმრავლესობა (570) მიიღო კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, თბილისელმა შოთა მორჩილაძემ.

ამ კონკურსში II ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა ოლეგ დოლმატოვმა, III-IV ადგილები გაიყვეს ცსკა-ს ჰოკეისტებმა ბორის მიხაილოვმა და ვლადისლავ ტრეტიაკმა.

ნოემბრის საუკეთესო გუნდად ერთსულოვნად აირჩიეს სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები, გუნდი, რომელმაც იაპონიაში მსოფლიო თასი მოიპოვა.

„გუნდურ ტურნირში" II ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა — „კომსომოლსკაია პრავდის" „სეზონის თასის" პირველმა მფლობელმა.

„კომსომოლსკაია პრავდა".

ამირან მუზაევი — მესამე პრიზიორი

მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტკლუბის ძალოსნობის დარბაზში, დამთავრდა სსრ კავშირის 1977 წლის აბსოლუტური პირველობა ჭიდაობა სამბოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქალაქების 33-მა მძიმე და ქვემძიმე წონის მოჭიდავემ, ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ამირან მუზაევი (100 კგ). უნდა ითქვას, რომ ამირანი მონაწილეთა შორის ყველაზე „მსუბუქი" იყო.

როგორც აღვნიშნეთ ტურნირის შემადგენლობა მეტად ძლიერი იყო, საკმარისია დავასახელოთ ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მოსკოველი ვ. კუზნეცოვი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ნ. სობოდირიოვი (ტაშკენტი), სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი სოლოდუხინი და მრავალი სხვა.

ფინალამდე ამირანმა მოიგო 5 შეხვედრა, აქედან 4 წმინდად და 1 ქულებით, ფინალში მუზაევი შეხვდა კუზნეცოვს, რომლის წონა 129 კგ-ია და მცირე უპირატესობით წააგო შეხვედრა. საბოლოოდ — III ადგილი. აქ უთუოდ თავისი სიტყვა თქვა დაღლილობამაც. რაც არ უნდა იყოს, ამირანს ჭიდაობა უხდებოდა მასზე 20-25 კგ-ით მძიმე მეტოქეებთან.

შეჯიბრების შემდეგ ჭიდაობის სპეციალისტებმა აღიარეს ამირანის ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობა, ხოლო ნაკრების ხელმძღვანელობამ ქვემძიმე წონაში მსოფლიო 1978 წლის პირველობის რეალურ მონაწილედ დაასახელა.

ო. გულისაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ჩვენი ოლიმპიური იმედი

ამაოდ არაფერი იკარგება

თუ ამ ჭაბუკის გაცნობის სურვილი დაგებადათ, ფალავანთა კლუბს უნდა ესტუმროთ. აქ ატარებს დროის უმეტეს ნაწილს ახალგაზრდა სპორტსმენი და შემდეგ დაღლილი ნაბიჯებით მიუყვება გზას შინისაკენ.

II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში თამაზ ნამგალაური.

არც ისე დიდი ხნის წინათ მოვიდა იგი სპორტში, მაგრამ წარმატებები უკვე არის. ყველაფერ ამას ბუნებრივია გამუდმებული, თავგამოდებული ვარჯიში უძღოდა წინ — უამისოდ ხომ სპორტსმენი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ.

როცა წვრთნის შემდეგ თამაზის დაღლილი, გაოფლიანებული სახე დავინახე, ვიგრძენი, თუ რა ძნელია ჩემპიონის კვარცხლბეკზე ასვლა. რიგითი სპორტსმენი ვერ გაუძლებს ასეთ ფიზიკურ დატვირთვას, დილა-საღამოს დაძაბულ ვარჯიშს, გამუდმებულ ოფლის ღვრას. ალბათ ამიტომაც არის ტკბილი ყოველი გამარჯვება და მწარე — მოულოდნელი მარცხი.

ხშირად ასე ხდება... ბავშვობისას ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებ შენთვის უჩვეულო სანახაობას და მიუწვდომლად გეჩვენება იგი. მაგრამ გადის წლები, ოცნება თანდათან ფრთებს ისხამს და სინამდვილედ იქცევა. ასე იყო თამაზისთვისაც. თავისთვის, ჩუმად ოცნებობდა ჭიდაობაზე, დიდ ასპარეზობებზე.

1970 წლიდან იწყება მისი სპორტული ბიოგრაფია. 12 წლის ბიჭს მწვრთნელი ჯ. ნათელაშვილი ულოცავს გზას სპორტული სარბიელისკენ. 1972 წლიდან კი ანზორ მარტყოფლიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება ძიუდოს ურთულეს ილეთებს. ყოველ მასწავლებელს უყვარს ნიჭიერი მოწაფე. თამაზმა კი ჭიდაობის პირველი ნაბიჯებიდანვე უჩვენა, რისი გაკეთებაც შეეძლო. მონაცემები შესანიშნავი ჰქონდა, მაგრამ ახალბედა მოჭიდავეს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა და ეს უკვე მწვრთნელისაგან უნდა ესწავლა. თამაზიც გულისყურით ეკიდებოდა ყოველ მითითებას, აუმჯობესებდა ილეთებს.

პირველი სპორტული ნათლობის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იყო გამარჯვებები, მარცხით გამოწვეული გულისტკივილიც... ყოველი ასპარეზობა თავისებურად ღირსშესანიშნავია, მაგრამ თამაზ ნამგალაურისათვის ყველაზე სამახსოვრო მინსკის ახალგაზრდული თამაშების დროს ჩატარებული ოთხი შეხვედრაა... მან დამაჯერებლად იასპარეზა და გახდა პირველი.

მაგრამ, სადაც გამარჯვებაა, იქ მარცხიც სავსებით ბუნებრივია. გულისტკივილით იხსენებს იგი გერმანიაში ჩატარებულ შეხვედრას გიუნტერ კრიუგერთან. წაგება არავის უყვარს, მაგრამ რას იზამ...

ახლა თამაზი მომავალი შეჯიბრებისათვის ემზადება, ემზადება თბილისის საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც თებერვალში გაიმართება. ამ ასპარეზობისათვის მარშანაც ემზადებოდა, მაგრამ სპორტსმენის ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსე. მაშინ ტრავმის გამო თამაზმა ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო. ალბათ ძალზე ძნელია ტრიბუნებიდან უყურებდე ბრძოლას და არ გქონდეს მასში მონაწილეობის საშუალება.

ახლა მეტი პასუხისმგებლობით ვარჯიშობს... ვარჯიშობს... მოკრძალებულ, სიტყვაძვირ ჭაბუკს თავისთვის დააქვს გამოუთქმელი სურვილი მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში. უთუოდ იცის, სპორტში წარმატებები არ მოდის იოლად. თუმცა, იმისიც სჯერა, რომ თავგამოდებული ვარჯიში და წვრთნა ამაოდ არასდროს იკარგება.

ჭ. ბახუტაშვილი.

კალათბურთი

მსაჯები საქართველოდან

თბილისელმა ინჟინერ-ტექნოლოგმა, კალათბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯმა მ. ქურიძემ ბულგარეთის ქალაქ ბურგასში ჩატარებულ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) სემინარზე მაღალ დონეზე ჩაატარა საკვალიფიკაციო მსაჯობა და მას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება მიენიჭა. იგი 18 წლისა იყო, როცა დიდი კალათბურთის სარბიელზე გამოვიდა. ლენინგრადში, სადაც სწავლობდა და მუშაობდა, 9 წლის წინათ მიიღო საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება. მას შემდეგ მურმანს სამსაჯოდ იწვევდნენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

საერთაშორისო კატეგორიის წოდება 6 ქართველ მსაჯს აქვს მინიჭებული, მათ რიცხვშია რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თანამშრომელი ვ. ჯაფარიძე, რომელმაც 23 წლის ასაკში ბრწყინვალედ ჩაატარა ევროპის პირველობა ქალთა შორის და „უგამოცდოდ" დაიმსახურა მაღალი წოდება. ვ. ჯაფარიძე ათჯერ შევიდა ქვეყნის პირველ ათეულში, მსაჯობის 25 წლისთავთან დაკავშირებით იგი დაჯილდოებული იქნა ფიბა-ს ვერცხლის სასტვენით.

სპორტულ წრეებში კარგადაა ცნობილი სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს კალათბურთის ერთ-ერთი ფუძემდებლის ლევან ფალავანდიშვილის სახელი. 52 წელი ემსახურება იგი სპორტს. ახლა უკვე აღარ მსაჯობს, მაგრამ, როგორც წესი, მას მთავარ მსაჯად, მოადგილედ, ან კომისრად იწვევენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდ ტურნირებში პრეს-ცენტრის, ან პრეს-ბიუროს ხელმძღვანელის ვალდებულებებს მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებს საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" საკუთარი კორესპონდენტი გ. აკოფოვი.

საერთაშორისო არბიტრის მაღალ წოდებას ატარებს, აგრეთვე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ძეკონსკი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რ. ხომერიკი, რომელიც ჩვენი ქვეყნის უძლიერეს არბიტრად ითვლებოდა. ამჟამად იგი თბილისის კალათბურთელ ქალთა გუნდის „ბურევესტნიკის" მწვრთნელია. ვ. ჯაფარიძე და მ. ქურიძე ახლა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობას ემსახურებიან. აქ მოწვეული არიან, აგრეთვე, საკავშირო კატეგორიის არბიტრები გ. ავალიშვილი და რ. გოგელია.

— ქართველ მსაჯებს, — აღნიშნავს ლენინგრადის „სპარტაკის" მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. კონდრაშინი, — ჩინებულად ესმით თამაში, ისინი სწრაფ და სწორ რეაგირებას აკეთებენ მოედანზე შექმნილი ყოველი რთული სიტუაციის დროს. ისინი პრინციპულნი და ობიექტურნი არიან (საქინფორმი).

[illegible]

✦ ონი

საინტერესოდ მიმდინარეობდა სარაიონო თასის გათამაშება ფეხბურთში საშუალო სკოლების გუნდებს შორის. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ონის 1-ლი და მე-2 სკოლების გუნდებმა. წარმატება წილად ხვდათ პირველსკოლელებს.

თ. კერვალიშვილი.

ჩვენი [illegible] კორესპონდენტები

„ნეპტუნია" — მოცურავეთა სკოლა

ლატვიის დედაქალაქიდან 40 კილომეტრითაა დაცილებული პატარა ქალაქი ელგავა. აქაურებს არამარტო შრომაში, არამედ სპორტული მიღწევებითაც შეუძლიათ დაიკვეხონ. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ამ ქალაქში გაზრდილი, ცურვაში ქვეყნის რეკორდსმენი ა. მისკაროვი.

აქ 4-5 წელია, რაც ცურვა მასობრივი და ყველაზე პოპულარული გახდა. ელგაველი მოცურავეები მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის უცვლელი გამარჯვებულები არიან. წლეულს კი მათ ლატვიის ჩემპიონატში მოზრდილებშიც მიაღწიეს წარმატებას. 16 წლის მისკაროვის გარდა ქვეყნის ნაკრების წევრობის პრეტენდენტები არიან გ. სლესარიოვა, გ. სილკე, ა. კრასტი, ი. კალნინია.

ელგაველი მოცურავეების პირველი სტარტები ათი წლის წინათ შედგა, როცა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე მწყობრში ჩადგა დახურული საცურაო აუზი და შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სკოლა „ნეპტუნიას" სახელწოდებით.

ამ წლების განმავლობაში 25-მეტრიან ბილიკზე „ცურვის კურსი" გაიარა ოთხი ათასმა ნორჩმა ელგაველმა და მათ შორის ყოველმა მეოთხემ შეასრულა სპორტული თანრიგი, 7 — სპორტის ოსტატი გახდა, ხოლო მოსწავლე არსენ მისკაროვი წლეულს ზაფხულში მსოფლიოს უძლიერეს ბრასისტთა რიცხვში შევიდა.

პირველი დღიდანვე „ნეპტუნიას" უფროს მწვრთნელად მუშაობს რესპუბლიკის ექს-ჩემპიონი ულდის ზემზარსი. ცურვის დიდი ენთუზიასტი რიგიდან წავიდა იმიტომ, რომ ელგავაში შეექმნა ეს სკოლა.

ა. კეხრისი.
საკდესის კორ.

მთებში — ლიტვური „ავტოგრაფები"

სამხრეთ-დასავლეთ პამირში შუგნანის ქედის 5400 მეტრი სიმაღლის უსახელო პიკს ამიერიდან კაუნასის პიკი დაერქმევა. ეს სახელი მას სამმა ლიტველმა ალპინისტმა — ინჟინერმა კ. ვირბალისმა, ძმებმა რ. და ე. ბაიორასებმა შეარქვეს. მათმა მამაცობამ სარგებლობა მოუტანა, აგრეთვე გეოდეზიურ ექსპედიციას, რომლის მონაწილეებიც იყვნენ ლიტველი ალპინისტები. მწვერვალის დასაპყრობად ისინი მოამზადა კაუნასელმა ექიმმა, ქვეყნის ექს-ჩემპიონმა დ. მაკაუსკასმა.

თუმცა ლიტვა დაბლობი მხარეა, და მისი ყველაზე მაღალი „მთა" შატრია მხოლოდ 227 მეტრს აღწევს, აქ ბევრია ღრუბლებს იქითა მწვერვალების დამპყრობი. ყოველწლიურად (მართალია მშობლიური ადგილებიდან დაშორებით) იმართება რესპუბლიკისა და სპორტსაზოგადოება „ჟალგირისის" ჩემპიონატები ალპინიზმში. 1959 წლიდან ლიტველმა მთამსვლელებმა დაიწყეს უსახელო პიკების დალაშქვრა. მათ ტიან-შანსა და პამირზე უკვე დაიპყრეს ასეთი 10 მწვერვალი, მათ შორის ყველაზე მაღალია ლიტვის პიკი (6080 მ.).

ხ. ვაინტრაუბასი.
(საკდესის კორ.).

სურათზე: საქართველოს 1977 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — გალის „მზიური“. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ო. ზაქარაია, ბ. გუგუჩია, ა. ქანთარია, კ. ზარატიადი, ა. შონია, ზ. კვეკვესკირი, მ. საჯაია; დგანან — ა. გრძელიძე (გუნდის უფროსი მწვრთნელი), გ. კალანდია, ა. ესიპოვი, ვ. ვენეცკი, ბ. ხარაბაძე, მ. ანთია, ა. კვეკვესკირი, ვ. ფიფია, ნ. ოსტროვსკი, ჯ. ანჯაფარიძე (მწვრთნელი).

ლ. შენგელიას ფოტო.

ფეხბურთი

ჭაბუკთა რესპუბლიკური

დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი წრის თამაშები, სადაც კარგი შედეგები აჩვენა თბილისის „ავაზამ“. ამ გუნდმა წრის 11 შეხვედრიდან 10 მოიგო, 20 ქულა დააგროვა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია. ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება თბილისის ნორჩ დინამოელთა კოლექტივი. ბათუმის დინამოელებს კი 15 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან: თბილისის „განთიადი“, თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლა, ქუთაისის „ტორპედო“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, სოხუმის „დინამო“, ბათუმის სპორტსკოლა, თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, თბილისის „ინტერნატი“ და ლანჩხუთის „გურია“. II ჯგუფის გუნდებს შორის წინ არიან ფოთის, გორისა და რუსთავის ფეხბურთელები.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი წრის თამაშები ჩატარდა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, საინტერესო ბრძოლაში. გათამაშებაში მონაწილე კოლექტივებში გაუმჯობესდა პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგადაც ამაღლდა დისციპლინა. სულ განვლილ მატჩებში გაფრთხილებული იქნა 5 მოთამაშე და გაძევებული ერთი — სამტრედიელი ე. ნინუა. გუნდებში, საფეხბურთო მინდვრებზე წესრიგი სუფევდა, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ იყო მატჩებზე გამოუცხადებლობის შემთხვევები. ასე, მაგალითად, თელავის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი არ გამოცხადდა ფოთში, იყო შემთხვევები, როდესაც თამაშები გააცდინეს მსაჯებმა (გ. ბაშკოვი, ჯ. ნოდია, გ. ქიქავა, გ. ჩივაძე, ს. ალიხანოვი). მათგან განსხვავებით მადლობის ღირსნი არიან ვ. ეჯიბია, ა. ხარატიშვილი, გ. გვანცელაძე, ვ. შილაკაძე, მ. დუბროვინი, თ. ლაცაბიძე, რ. ტალიაშვილი, შ. ჩინოიანი, რ. სეფიაშვილი, რომლებიც სისტემატურად და კვალიფიციურად მსაჯობდნენ ნორჩთა შეხვედრებს.

შეჯიბრება განახლდება მარტში. იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ შესვენებას მონაწილე კოლექტივები ნაყოფიერად გამოიყენებენ.

ი. გოგორაძე.

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

უმაღლეს სასწავლებლებს შორის

გრძელდება რესპუბლიკის პირველობა ფეხბურთში უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა შინ მიიღო თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელები დამარცხდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში — 0:1.

განმეორებითს შეხვედრებში ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდმა რევანში აიღო, მაგრამ მხოლოდ ანგარიშით 2:1, გორის პედინსტიტუტის კოლექტივმა კი კვლავ მოუგო უნივერსიტეტის გუნდს — 2:1.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა საინტერესო ბრძოლაში დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები — 3:1. გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ პედინსტიტუტი (ბათუმი) — პედინსტიტუტი (თელავი), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — პედინსტიტუტი (გორი).

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

ჰოლანდია

XVI ტურის ცენტრალური მატჩი ამსტერდამში ჰოლანდიის ჩემპიონს ადგილობრივ „აიაქსსა“ და ლიდერს — „ეინდჰოვენს“ შორის დასრულდა ლიდერის დამაჯერებელი გამარჯვებით — 4:1.

ახლა „პსვ ეინდჰოვენი“ 29 ქულით ლიდერობს და 6 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „აიაქსს“. „აც 67 ალკმაარმა“ ანგარიშით 4:0 სძლია ველზენის „ტელსტარს“ და 22 ქულით მესამე ადგილზეა. ამდენივე ქულა (ბურთების უარესი სხვაობით) მოაგროვა „ტვენტემ“, რომელმაც სტუმრად ფრედ 1:1 ითამაშა „რს ჰაარლემთან“.

ბელგია

16 ტურის შემდეგ 24 ქულით პირველ ადგილზეა „ფს ბრიუგე“. 1 ქულით ნაკლები აქვს ლიეჟის „სტანდარდს“. ერთ-ერთი ფავორიტი, ბრიუსელის „ანდერლეჭტი“ საკუთარ მინდორზე მოულოდნელად დამარცხდა (0:2) „ბევერენ-ვაასთან“ და დაუთმო მას მესამე ადგილი. „ბევერენ-ვაასს“ 21 ქულა აქვს, „ანდერლეჭტსა“ და „ვინტერსლაგს“ — 20 ქულა თითოეულს.

ესპანეთი

XII ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ბარსელონაში ძველ მეტოქეებს „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის. მეტად მძაფრი ბრძოლა დასრულდა „რეალის“ გამარჯვებით — 3:2.

აი, ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: „რაიო ვალეცანო“ (მადრიდი) — ბილბაოს „ატლეტიკი“ 3:2, „ვალენსია“ — „ელჩე“ 4:1, „სან-სებასტიანი“ — ხიხონის „სპორტინგი“ 1:1, „ბეტისი“ (სევილია) — „ბურგოსი“ 2:1, „კადიქსი“ — „სევილია“ 0:0, „სანტანდერი“ — „სალამანკა“ 0:3, „ჰერკულესი“ (ალიკანტე) — „უნიონი“ (ლას-პალმასი) 1:2, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა) 2:1.

12 ტურის შემდეგ 20 ქულით ლიდერობს მადრიდის „რეალი“. 15-15 ქულა მოაგროვეს „ბარსელონამ“, „უნიონმა“ (ლას-პალმასი) და „სალამანკამ“.

პორტუგალია

ბოლო კვირის მანძილზე ორი ტურის მატჩები შედგა. 10 თამაშის შემდეგ 17 ქულით ლიდერობს „ბენფიკა“ (ლისაბონი), რომელმაც ჯერ სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა „ბრაგასთან“, ხოლო შემდეგ შინ ანგარიშით 3:1 სძლია „აკადემიკას“ (კოიმბრა).

2 გამარჯვება იზეიმა ლისაბონის „სპორტინგმა“: ჯერ თავისივე ქალაქის „ბელენენშეშთან“ — 3:1, ხოლო შემდეგ სტუმრად „მარიტიმოსთან“ — 4:0. „სპორტინგს“ 15 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. ლიდერობის კიდევ ერთ პრეტენდენტად უნდა მივიჩნიოთ „პორტო“, რომელსაც 14 ქულა და მარაგში ერთი გამოტოვებული მატჩი აქვს „მარიტიმოსთან“.

საქართველოს ჩემპიონატი

დამთავრდა საქართველოს 1977 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გეგეჭკორელ გაგუას გოლი გაქვითა ნიკოლაიშვილმა, რის შემდეგ მურღულიამ და ბალათურიამ კიდევ ორჯერ აიღეს „სალხინოს“ კარი. განსხვავება ანგარიშში 11-მეტრიანი დარტყმით შეამცირა ჯ. ოდიშარიამ.

გათამაშების საბოლოო ცხრილები

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური“	44	25	11	8	63—36	61
„მალარ.“	44	21	15	8	71—40	57
„მეშახტე“	44	21	12	11	54—34	54
„მეტ.“ რ.	44	20	13	11	66—41	53
„იბერია“ ს.	44	19	12	13	57—60	50
„ნადიკვ.“	44	18	13	13	63—48	49
„კოლხ.“ ხ.	44	17	15	12	55—40	49
„კოლხ. ფ.	44	17	12	15	67—57	46
„სპარტ.“	44	19	7	18	55—41	45
პოლ. ინს.	44	17	9	18	71—61	43
„მეტ.“ ზ.	44	16	11	17	72—64	43
„სქური“	44	19	5	20	68—72	43
„დურუჯი“	44	17	8	19	55—76	42
„მერცხ.“	44	14	13	17	70—60	41
„სალხინო“	44	15	11	18	63—60	41
„ამირანი“	44	14	13	17	43—43	41
„ივერია“ ხ.	44	15	11	18	44—72	41
ფიზ. ინს.	44	15	10	19	50—62	40
ასკ თბ.	44	11	17	16	46—53	39
„ეგრისი“	44	16	7	21	52—71	39
„ქართლი“	44	15	7	22	49—75	37
„იმერეთი“	44	13	8	23	45—75	34
„განთ.“	44	6	12	26	39—77	24

II ჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“	34	24	6	4	68—34	54
„გარეჯი“	34	23	3	8	53—23	49
„ჰერეთი“	34	20	8	6	70—39	48
„ვარძია“	34	18	7	9	45—34	43
„განთ.“	34	17	8	9	77—57	42
„მესხეთი“	34	15	12	7	53—37	42
„სიონი“	34	16	6	12	69—42	38
„მეშაქრე“	34	14	8	12	52—39	36
„განახლ.“	34	14	8	12	53—47	36
„არაგვი“ მ.	34	14	6	14	47—49	34
„ჩამომსხ.“	34	10	10	14	44—53	30
„აბული“	34	12	4	18	49—55	28
„თრიალ.“	34	8	10	16	47—63	26
„სამცხე“	34	11	3	20	52—69	25
„ცისკარი“	34	7	8	19	36—67	22
„ალაზანი“	34	9	2	23	50—77	20
„ბახტრ.“	34	7	6	21	42—74	20
„არაგვი“ დ.	34	8	3	23	50—98	19

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ენერგეტ.“	28	21	4	3	69—19	46
„შუქურა“	28	17	5	6	47—22	39
„სულორი“	28	16	6	6	52—25	38
„ბახმარო“	28	13	6	9	65—46	32
„ნაკად.“	28	12	8	8	52—44	32
„ტორპ.“	28	15	2	11	42—40	32
„მექადალ.“	28	11	7	10	46—38	29
„შახტ.“	28	10	7	11	36—32	27
„გიგანტი“	28	10	6	12	45—60	26
„ოჯალეში“	28	9	6	13	48—60	24
„სამგურ.“	28	8	6	14	33—49	22
„ავტ.“ ბ.	28	9	3	16	44—62	21
„ავტ.“ მ.	28	7	5	16	34—45	19
ხდკ სამტ.	28	8	3	17	41—59	19
„მშენებ.“	28	6	2	20	37—90	14

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში II ჯგუფის გუნდებს შორის წარმატებას მიაღწიეს ქარელის „იბერიას“ და თერჯოლის „ენერგეტიკოსის“ კოლექტივებმა, რომლებიც გაისად რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ I ჯგუფის გუნდებს შორის.

სურათებზე: ზევით — ქარელის „იბერია“ (I ზონაში გამარჯვებული); ქვევით — თერჯოლის „ენერგეტიკოსი“ (II ზონაში გამარჯვებული).

ჭადრაკი

თამაშობენ პრეტენდენტები

გუშინწინ ბელგრადში, სადაც მიმდინარეობს ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, ვ. კორჩნოიმ მოუგო ბ. სპასკის წინადღით გადადებული VIII პარტია.

მატჩის ანგარიშია 6:2 კორჩნოის სასარგებლოდ. მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მეტოქედ გამოცხადდება ის პრეტენდენტი, რომელიც ადრე დააგროვებს 10,5 ან 11 ქულას. სათამაშოა კიდევ 12 პარტია.

წინაა ფინიში

ლენინგრადში, სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში გუშინწინ გაიმართა გადა-

ლ. პოლუგაევსკიმ (მოსკოვის ოლქი) მოუგო ი. ბალაშოვს (მოსკოვი), ო. რომანიშინმა (ლვოვი) — ა. კოჩიევს (ლენინგრადი).

მოეწყო აგრეთვე IX ტურიდან გამოტოვებული ი. დორფმან (ლვოვი) — მ. ტალის (რიგა) პარტია. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გულკო — 7 ქულა, ტ. პეტროსიანი (ორივე — მოსკოვი) — 6,5, ლ. პოლუგაევსკი — 6, ე. გელერი (მოსკოვის ოლქი), ი. დორფმანი — 5,5-5,5.

* * *

მოჭადრაკეებმა განვლეს ძნელი შეჯიბრების ორი მესამედი, წინაა ფინიში, ხუთი დასკვნითი ტური. სწორედ ამ შეხვედრებში უნდა გადაწყდეს ჩემპიონის ვინაობის საკითხი.

ცხადია, ჩემპიონის ოქროს მედალს ლიდერები უმიზნებენ. მათი მტკიცე

ტების საწინდარია. მაგრამ საჭიროა თითოეული მოპაექრის შანსის კონკრეტული შეფასება, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ვის ხვდებიან ისინი ფინიშზე.

ყველაზე ადვილი (რა თქმა უნდა, შეფარდებით) ფინიში აქვს გულკოს. აი, მისი მეტოქენი: კ. გრიგორიანი (მას 3,5 ქულა და მ. ტალთან გამოტოვებული პარტია აქვს), გ. კუზმინი, ვ. ბაგიროვი, ე. სვეშნიკოვი (თითოეულს 5 ქულა) და ბოლოს პეტროსიანი. საინტერესოა, რომ 43-ე ჩემპიონატშიც დასკვნითს ტურში გულკოს მეტოქე პეტროსიანი იყო და ამ პარტიაში გადაწყდა ოქროს მედლის ბედიც. იქნებ მეორდება ისტორია?

პეტროსიანი გულკომდე უნდა ეთამაშოს პოლუგაევსკის, ვ. ტუკმაკოვს (4), ტალს (4 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია) და გელერს.

არც პოლუგაევსკის ჰყავს ადვილი

კოჩიევი, ტუკმაკოვი, სმისლოვი და ტალი.

ფინიშზე შეიძლება მკვეთრად გაიუმჯობესონ მდგომარეობა იმ მოჭადრაკეებმა, რომელთაც ახლა ხუთ ქულამდე აქვთ და მედლების განაწილებაში მიიღონ მონაწილეობა. ეს შეუძლია, მაგალითად, რომანიშინს, რომელიც ფინიშზე უნდა შეხვდეს სმისლოვს, დორფმანს, გრიგორიანს, კუზმინსა და ბაგიროვს. ახლა მას 3,5 ქულა და ორი მოსაკლ მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს.

ამრიგად, მძაფრი შეხვედრებია მოსალოდნელი. ამიტომ ფინიში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. დღეს მეთერთმეტე ტურით დაიწყება დასკვნითი ბრძოლები.

გუშინწინ ლვოვში

სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ფინალში გაიმართა IX ტურის

წარმატებით ითამაშა დიდოსტატმა მ. ჩიბურდანიძემ, რომელმაც საერთაშორისო ოსტატ ა. კისლოვას (ლენინგრადის ოლქი) მოუგო. ოსტატმა ნ. იოსელიანმა დაამარცხა ოსტატი ლ. ზაიცევა (მოსკოვი).

დიდოსტატმა ნ. ალექსანდრიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ტ. ფომინასთან (ტალინი).

9 ტურის შემდეგ მ. ჩიბურდანიძეს 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ნ. ალექსანდრიას — 5,5 (2), მაგრამ ლიდერთა მდგომარეობას ნათელი მოეფინება მხოლოდ ყველა (15-მდე) გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ. ამ პარტიებში თამაში გუშინ საღამოს განახლდებოდა. დღეს X ტურია. ინტერესს იწვევს ალექსანდრიას შეხვედრა სსრ კავშირის ჩემპიონ ა. ახშარუმოვასთან (მოსკოვი). ჩიბურდანიძისა და იოსელიანის პოტენციურ ლიდერებთან — ე. ეპშტეინთან (მოსკოვი)

დიდი აღიარება

ოქტომბერში, კარაკასში (ვენესუელა) ფიდე-ს ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა მოჭადრაკეებთან ერთად საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიაკუთვნა **თამაზ გიორგაძეს** (თბილისი).

გთავაზობთ ახალი ქართველი დიდოსტატის სპორტულ და შემოქმედებით სავიზიტო ბარათს.

თ. გიორგაძე (დაიბადა 1947 წელს ქუთაისში) სპორტის ოსტატი გახდა 1967 წელს, საერთაშორისო ოსტატი — 1974 წელს. მწვრთნელები — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ჩირაძე (ქუთაისი) და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე. ამჟამად მისი კონსულტანტია დიდოსტატი ი. ავერბახი (მოსკოვი). 1970 წელს თ. გიორგაძემ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

უმთავრესი სპორტული მიღწევები

1962 წ. — საქართველოს მოსწავლეთა პირველობა. თბილისი. I ადგილი.

1966 წ. — სტუდენტთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი. მოსკოვი. I.

1966 წ. — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჩემპიონატი. ბაქო. II.

1968 წ. — საერთაშორისო ტურნირი. გავირჟოვი. II.

1969 წ. — სსრ კავშირის ჩემპიონატი სტუდენტთა შორის. ბათუმი. I.

1972 წ. — საქართველოს პირველობა. თბილისი. I.

1973 წ. — საქართველოს პირველობა. თბილისი. I-II.

1974 წ. — ვ. გოგლიძის III მემორიალი. თბილისი. I-II.

1974 წ. — საერთაშორისო ტურნირი. დეჩინი. I-II.

1975 წ. — საერთაშორისო ტურნირი. დეჩინი. II-III.

1976 წ. — საერთაშორისო ტურნირი. ჟილინი. I.

1977 წ. — საერთაშორისო ტურნირი. პრიმორსკო. II-III.

1977 წ. — ვ. გოგლიძის IV მემორიალი. თბილისი-სოხუმი. I-II.



მონაწილეობა მიუღია ჰასტინგსის (ინგლისი) რელენჯერ-ტურნირში (1969 წ.), ლიუბლინის 1972, 1974, 1976 წლების და პოლიანსკი-ზდრუეს (1976 წ.) საერთაშორისო ტურნირებში, სსრ კავშირ-სკანდინავიის ქვეყნების (სტოკჰოლმი, 1966 წ.) და სსრ კავშირ-იუგოსლავიის (სოხუმი, 1966 წ. ბუდვა, 1967 წ.) მატჩებში. 1969 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი სტუდენტებს შორის, 1976 წელს — ევროპის ჩემპიონი (ორივეჯერ გუნდურ ჩათვლაში, ბოლოს ითამაშა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გუნდის შემადგენლობაში).

ახლა გავეცანით თ. გიორგაძის რამდენიმე საინტერესო პარტიას.

სიცილიური დაცვა
კუპრეიჩიკი — გიორგაძე
სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა, 1967 წ.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. მc3 კg7 6. კe3 მf6 7. კc4 0—0 8. კb3 ლa5 9. f3 e6 10. ლd2 d5 11. ed მ:d5 12. კ:d5 ed 13. 0—0—0 ეe8 14. h4 კe6 15. h5 ეac8 16. მფb1, მe5 17. მb3 ლb4 18. ლf2 მc4 19. კd4 მ:b2 20. მფ:b2 ე:c3 21. a3 ლc4 22. hg fg 23. კ:g7 d4 24. მ:d4 ეc8 25. ეa1 კf5 26. ეhe1 კ:c2 27. ეe3 მფ:g7 28. ეc1 კd3 21. ლh4 ეh3+ 30. მ:b3 ლ:h4 31. ე:d3 ე:c1 32. მფ:c1 ლg5+ 33. ეd2 a5 და შავებმა მალე მოიგეს.

ლაზიერის გამბიტი
გულკო — გიორგაძე
სსრ კავშირის სტუდენტთა პირველობა, 1969 წ.

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. კg5 c5 5. cd cd 6. ლ:d4 კe7. 7.e4 მc6 8. ლd2 მ:d5 9. ed კ:g5 10. f4 კh4+ 11. g3 ed 12. gh ლ:h4+ 13. ლf2 ლe7+ 14. ლe2 კe6 15. მf3 d4 16. მd1 0—0 17. კg2 d3 18. ლe4 d2+ 19. მ:d2 ეad8 20. ლe3 მb4 21. 0—0 მc2 22. ლc3 მ:a1 23. მe3 ეc8 24. ლe5 მc2. თეთრები დანებდნენ.

რომანიშინი — გიორგაძე
სსრ კავშირის სტუდენტთა პირველობა, 1972 წ.



29. ... მფf7 30. ეc1 ეd7 31. ეf5 მფg6 32. ეff1 ეcd8 33. ეa1 კd6 34. კf4 კ:f4 35. gf ეd2 36. f5+ მფh6 37. ეad1 ე:d1 38. მ:d1 ეd2 39. მფf2 მe8 40. მe3 მd6 41. ეb1 ეd4 42. b3 ეf4+ 43. მფe1 მe4 44. ეd1 ეh4 45. მf1 ეh3 46. e3 ეf3 47. ეd7 ე:f5 48. ეb7 ეg5 49. ე:b6 ეg2 50. ეa6 h4 51. მფd1 მc3+ 52. მფc1 ეf2 53. მd2 h3 54. ე:a5 ე:h2 55. ეa8 მფh7. რომანიშინი დანებდა.

ალიოხინის დაცვა
გიორგაძე — ალბურტი
სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალი, 1973 წ.

1. e4 მf6 2.e5 მd5 3. d4 d6 4.მf3 კg4 5. კe2 e6 6. 0—0 კe7 7. c4 მb6 8. h3 კf5 9. მc3 0—0 10. კe3 d5 11. c5 კ:f3 12. კ:f3 მc4 13. კf4 b6 14. b3 მa5 15. ლd2 bc 16. dc მac6 17. მa4 მd7 18. ლe3 ეb8 19. a3 h6 20. კh2 კg5 21 ლc3 f6 22. ეad1 fe 23. ე:d5 მd4 24. ე:d4 ed 25. ლ:d4 ე:b3 26. კd5 ეe3 27. fe ed 28. ლ:d5+ მფh8 29. კf4 კ:f4 30. ე:f4 ე:f4 31. ef ლe8 32. მფf2 მf6 33. ლd4 ლb5 34. მb2 მe4+ 35. მფe3 მ:c5 36. მd3 მ:d3 37. ლd8+ მფh 7 38. ლ:d3+ ლ:d3+ 39. მფ:d3 მფg6 40. g4 მფf6 41. მფd4 მფe6 42. მფc5 მფd7 43. f5 h5 44. gh მფe7 45. მფc6 მფf6 46. h6 gh 47. მფ:c7 მფ:f5 48. მფb7 მფe5 49. მფ:a7 მფd5 50. მფb6. შავები დანებდნენ.

და ბოლოს საერთაშორისო დიდოსტატ თ. გიორგაძის მოკლე ინტერვიუ.

● **როგორია თქვენი საჭადრაკო კრედო?**

— რეალისტი მოჭადრაკე გახლავართ. ვთამაშობ ეგრეთ წოდებულ „სწორ ჭადრაკს", მწამს პოზიციური მოძღვრების კანონები. უწინ უფრო ტაქტიკური ბრძოლისკენ მივისწრაფოდი. ახლა ენდშპილსაც სიამოვნებით ვთამაშობ. სწორედ ენდშპილში მოეთხოვება მოჭადრაკეს დიდი ცოდნა, გამოცდილება და ლოგიკური აზროვნება. მიყვარს სადებიუტო პრობლემებზე ფიქრი და მუშაობა. გავურბივარ გაუმართლებელ რისკს, თუნდაც მოგება ჰაერივით მჭირდებოდეს.

● **მომავლის გეგმები?**

— უპირველესი მიზანია ხშირად ვითამაშო საკავშირო ტურნირებში. აქამდე უმეტესად საზღვარგარეთ მიხდებოდა თამაში. ჩემი ღრმა რწმენით, ის, ვინც წარმატებით მონაწილეობს საბჭოთა შეჯიბრებებში, უძლიერესი მოჭადრაკეა. ვემზადები გაისად რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, მათგან მთავარი საბჭოთა კავშირის 46-ე ჩემპიონატი იქნება.

* * *

სურათზე: საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე.

ჭადრაკი

ცნობები ლაიფციგიდან

ლაიფციგი, 14 დეკემბერი (ტელეფონით). აქ მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და XI, XII ტურების შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დაზავდნენ ნ. გაფრინდაშვილი — კნააკი, ჰესე (ორივე — გდრ) — ფიშერი (რუმინეთი). ადამსკიმ (პოლონეთი) მოუგო ფიშერს, ა. პეტროსიანმა (სსრ კავშირი) — ჰესეს, ბიონშმა — ესპიგს (ორივე — გდრ).

XI ტურში კარგად ითამაშა გაფრინდაშვილმა და სძლია კასპერს (გდრ).

გაიმარჯვეს აგრეთვე, შალიხმა (გდრ) ფიშერთან და კნააკმა პეევთან (ბულგარეთი). ყაიმზე შეთანხმდნენ ჰესე — ვუუნო (კუბა), ლუტიკოვი (სსრ კავშირი) — ადამსკი.

XII ტურში ადამსკი — გაფრინდაშვილის პარტია გადაიდო თანაბარ მდგომარეობაში.

ჰესემ დაამარცხა ესპიგი. სმეიკალმა, რომელმაც წინადღით პეტროსიანთან გადადო პარტია, მოუგო ვუუნოს, პეევმა — კასპერს.

დაუმთავრებელი დარჩა პეტროსიან — ლუტიკოვისა და ფიშერ — ბიონშის შეხვედრები.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ დიდოსტატები მალიხი — 8,5 ქულა, კნააკი — 8, სმეიკალი და საერთაშორისო ოსტატი ადამსკი — 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

პეტროსიანს 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ლუტიკოვს — 5 (1) და გაფრინდაშვილს — 4,5 (1).

ოლიმპიური მოდელით

განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპეციალიზებულ დარბაზში დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი და თასის გათამაშება უწყებებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქალთა და ვაჟთა ოთხ-ოთხმა გუნდმა. ხოლო ისეთმა ავტორიტეტულმა სპორტსაზოგადოებებმა, როგორებიც არიან „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი", თითო ტანმოვარჯიშე გამოიყვანეს.

გოგონები სპორტის ოსტატობის კანდიდატთა და სპორტის ოსტატობის პროგრამით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ვაჟები, გარდა ზემოთ თქმულისა, პირველი თანრიგის პროგრამითაც გამოდიოდნენ.

პირველობა კარგად ჩაატარა განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ტანვარჯიშული სპორტსკოლის (დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. იმნაძე) გუნდმა, რომელმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და თასი მოიპოვა. სკოლის მოსწავლეები პირველნი იყვნენ აგრეთვე ქალთა და ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში.

ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად „დინამო" (458,4 ქულა) და „განთიადი" (453,85) გამოვიდნენ.

პირად პირველობაში, სპორტის ოსტატების კანდიდატთა პროგრამით, პირველი ადგილი მოიპოვა „განთიადის" წარმომადგენელმა მაია ხრიკაძემ (70,7 ქულა), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ განათლების განყოფილების წარმომადგენლებს ლია ბოდაველს (69,4) და თინათინ კაკაშვილს (68,7).

სპორტის ოსტატობის პროგრამით ჩემპიონის წოდება განათლების განყოფილების მოსწავლემ ქეთევან ციმაკურიძემ (70,9) მოიპოვა, მესამე იყო მისივე თანაგუნდელი სტელა მაისურაძე (67,55), ხოლო მეორე ადგილი წილად ხვდა დინამოელ ნატალია კულუმბეგაშვილს (68,7).

პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის გაიმარჯვა გელა თოთლაძემ (განათლების განყოფილება, 98,65), ხოლო დინამოელები გელა მარმარაშვილი (86,25) და იოსებ ბახია (82,5) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის I და II ადგილებზე განათლების განყოფილების წარმომადგენლები კობა სულთანიშვილი (98,45) და გელა სირაძე (96,5) გამოვიდნენ. მესამე იყო განთიადელი ანატოლი მილოვიდოვი (92,15).

სპორტის ოსტატების პროგრამით მოასპარეზეთა შორის ყველას აჯობა გურამ ბახიამ („დინამო" — 108,7). მეორე იყო ლოკომოტიველი ლეონიდ ვენეცკი (101,7), მესამე — „ბურევესტნიკის" წარმომადგენელი აკაკი ცინცაძე (100,1).

გამარჯვებული გუნდები და მონაწილეები დაჯილდოვდნენ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თასებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

დასასრულ ვესაუბრეთ ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გ. ბაბილოძეს. აი, რა გვითხრა მან:

„სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენები გაბედულად ასრულებენ ურთულეს ილეთებს და ნაერთებს, რაც საწინდარია იმისა, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ჩვენს წარმომადგენლებს ექნებათ ოლიმპიური თამაშების მოდელის კომბინაციები. ოღონდ ამ კომბინაციებს ჯერ კიდევ ესაჭიროება საკმაო დახვეწა. მაჩვენებლები იმაზე მეტყველებენ, რომ მწვრთნელთა ერთ ნაწილს დიდი მონდომებით უშრომია. ესენი არიან: ე. ქოვლიევა, რ. კრასილნიკოვა, ო. მიქელაძე, ს. ტოროსიანი, ა. ცომაია, ნ. ჭანტურია, გ. გასპარიანი, ს. პაპიკიანი და სხვები. ბოლოს გულისტკივილით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ისეთი ძლიერი სპორტსაზოგადოებები როგორებიც არიან „ბურევესტნიკი", „ლოკომოტივი", „შრომითი რეზერვები" და თბილისის არმიის სპორტული კლუბი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტანვარჯიშის განვითარებას.

დ. გურამიშვილი.

• • •

სურათზე: სპორტის ოსტატთა შორის გამარჯვებულები მარცხნიდან ნ. კულუმბეგაშვილი, ქ. ციმაკურიძე და ს. მაისურაძე; გ. ბახია ორძელზე ვარჯიშისას; გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივები, მარცხნიდან — „სპარტაკი", განათლების განყოფილება და „დინამო".

ავტორის ფოტოები.

„შაბათის სპორტლოტოს" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 50-ე ტირაჟისა, რომელიც 10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა.

პირველი: ისინი, ვინც ხუთი ნომერი ამოიცნო (5 ბარათი) თითოეული მიიღებს 5000 მანეთს, ოთხი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 171 მანეთია (1043 ბარათი), სამისთვის — 6 მან (29725).

მეორე: ხუთი ნომერი ამოიცნეს სამ ბარათზე. მოგება აქაც 5000 მანეთია. ოთხისთვის — 279 მან (672), სამისთვის — 6 მან (29897).

პირველი ლაურეატი

ძალოსნობა

რიაზანი, 13 დეკემბერი. 23 წლის მინსკელი არმიელი რუსლან დიუ ცალკეულ სახეობებში ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში მონაწილეთა შორის პირველი ლაურეატი გახდა. რუსლანმა 102,5 კგ აიტაცა და ყველას აჯობა „მინი-გოლიათებში" (52 კგ-მდე). ვერცხლის მედალი ვოროშილოვგრადელმა ა. სენიშინმა მოიპოვა, ხოლო ბრინჯაო — დონეცკელმა ვ. ხომიაკმა. ორივემ 100 კგ დაძლია, მაგრამ სენიშინი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა.

ტურნირში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 14 გუნდის 200 ათლეტი მონაწილეობს. მათ შორის უძლიერესებმა 7 ოქროს მედალი მოიპოვეს შტუტგარტის (გფრ) მსოფლიო ჩემპიონატში და წლის განმავლობაში 32-ჯერ გადააჭარბეს მსოფლიო რეკორდებს (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჟაფარიძე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲣᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-53; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

7 ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10280